№ 06 17 - 20624 D 28 03 2017

სსიპ ქონების მართვის სააგენტოს
გაყიდვების მხარდაჭერის სამსახურის
უფროსს ბატონ ირაკლი ჩიდრაშვილს

ბატონო ირაკლი,

შპს ,,ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერმა" (GWP) განიხილა სსიპ ქონების მართვის სააგენტოს 2016 წლის 15 დეკემბრის წერილი №D16002173-13/12/2016 (კომპანიაში რეგისტრაციის ნომერი: IN16-70979, თარიღი: 15.12.16 წ.) აღმაშენებლის ხეივნის მე-12 კმ-ზე (საკ.კოდი №01.72.14.013.616) მიწისქვეშა კომუნიკაციების მდებარეობის შესახებ.

გაცნობებთ, რომ აღნიშნულ მისამართზე, მიწის ნაკვეთზე (საკ.კოდი №01.72.14.013.616) კომპანიის ბალანსზე რიცხული წყალსადენის ქსელები არ გაედინება, მაგრამ გაედინება კომპანიის ბალანსზე რიცხული D=1000 მმ-იანი თვითდენითი კანალიზაციის კოლექტორი. (იხ. სიტუაციური ნახაზი)

გასათვალისწინებელია, რომ კანალიზაციის ქსელებთან მიმართებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი რეგულაციები, რომელთა შესრულებაც სავალდებულოა ყველა ფიზიკური და იურიდიული პირისთვის.

საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებით და წესებით (სნდაწ II-89-80; სნდაწ 2.07.01-89) დადგენილი რეგულაციების თანახმად მანძილი (დაშორება) ჰორიზონტალურად კანალიზაციის მიწისქვეშა ქსელებიდან ნებისმიერ შენობა-ნაგებობებამდე უნდა იყოს: სადაწნეო კანალიზაციის შემთხვევაში არანაკლებ 5 მეტრი, ხოლო თვითდინებითი კანალიზაცის შემთხვევაში არანაკლებ 3 მეტრი. შესაბამისად, მოცემულ არეალში, თვითდენითი კანალიზაციის ქსელიდან 3 მეტრამდე მანძილზე ნებისმიერი მშენებლობა დაუშვებელია.

თუ ფიზიკური/იურიდიული პირების მიერ არ იქნება დაცული სამშენებლო ნორმებისა და წესების ზემოაღნიშნული მოთხოვნები, მიწისქვეშა ქსელებზე მომხდარი ავარიის შემთხვევაში, მიყენებულ ზიანზე ,,კომპანია" იხსნის ყოველგვარ პასუხისმგებლობას.

ამასთანავე, ,,კომპანია" გაცნობებთ, რომ თქვენ განცხადებაში მითითებულ მიწის ნაკვეთზე შესაძლებელია გადიოდეს, მესამე პირთა კერძო საკუთრებაში/მფლობელობაში არსებული წყალსადენ-კანალიზაციის მიწისქვეშა ქსელები, რომელთა შესახებ კომპანია ინფორმაციას არ ფლობს.

დანართი:1 ფურცელი

პატივისცემით,

ეკატერინე ბერიძე

კომუნიკაციისა და კორპორაციული
მომსახურების დირექტორი
შემს.მ. ლოლაძე